თამბაქოს კონტროლი საქართველოში

თამბაქოს კონტროლი საქართველოს ევრო-ინტეგრაციის მნიშვნელოვანი ასპექტია. 2014 წელს ხელმოწერილი საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების ერთ-ერთ ვალდებულებას წარმოადგენს ჯანმრთელობის სფეროში არსებული, მხარეთა მიერ აღიარებული საერთაშორისო ხელშეკრულებების, მათ შორის ჯანმრთელობის საერთაშორისო რეგულაციებისა და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის ეფექტური იმპლემენტაცია.

საქართველოს ევროპის რეგიონში მწეველთა დონის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს. STEPS 2010 და 2016 კვლევების შედეგების მიხედვით, მწეველობის გავრცელების ტენდენცია ზრდადია; საქართველოს ზრდასრული მოსახლეობის 33% მწეველია; მათ შორის 57% მამაკაცი და 7% ქალია. შარდში კოტინინის ტესტის მიხედვით, ქალებში თამბაქოს მოხმარების რეალური მაჩვენებელი 12.2%-ია.



*კოტინინის ტესტის შედეგები; STEPS 2017

საქართველოში თამბაქოს მოიხმარს დაახლოებით 1.1 მილიონი, რომელთაგან 40%-ის თავის დანებება სურს. სიგარეტის მოწევა თამბაქოს მოწევის ექსკლუზიური ფორმაა. უკვამლო თამბაქოს გამოყენება ძალიან დაბალია და ამჟამად არ წარმოადგენს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მნიშვნელოვან პრობლემას.

ახალგაზრდებში თამბაქოს მოხმარების გლობალური კვლევების მიხედვით (GYTS 2014-2017) მოწევის გავრცელება ასევე ზრდადის 13-15 წლის ასაკში; GYTS 2017 გვიჩვენებს, რომ 13-15 წლის მოზარდების 12% თამბაქოს მოიხმარს (17% ბიჭები, 8% გოგოები), გასულ წელს მათ 60% -ს ჰქონდა შეწყვეტის მცდელობა.

თამბაქოს მოხმარება

- მოსწავლეთა 15.4%, 20.6% - ბიჭი, და 9.6% - გოგო ამჟამად მოიხმარს თამბაქოს რომელიმე პროდუქტს.
- მოსწავლეთა 12.6%, 16.9% - ბიჭი, და 7.6% - გოგო ამჟამად მოიხმარს თამბაქოს.
- მოსწავლეთა 8.4%, 12.3% -ბიჭი, და 4.4% - გოგო ამჟამად ეწევა სიგარეტს.
- მოსწავლეთა 4.4%, 5.0% - ბიჭი, და 3.2% - გოგო ამჟამად მოიხმარს უკვამლო თამბაქოს

თამბაქოს კვამლი

- მოსწავლეთა 43.2% სუნთქავს თამბაქოს კვამლს სახლში.
- მოსწავლეთა 58.6% სუნთქავს თამბაქოს კვამლს დახურულ საზოგადოებრივ ადგილებში.



ელექტრონული სიგარეტები

- მოსწავლეთა 13.2% , 17.3% -ბიჭი, და 7.7%- გოგო ამჟამად მოიხმარს ელექტრონულ სიგარეტს.

16 წლის მოზარდებში ჩატარდა ალკოჰოლის, თამბაქოსა და და სხვა ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების შემსწავლელი ევროპის სკოლების კვლევის პროექტი (ESPAD), რომელმაც აჩვენა ამჟამინდელი მწეველების მაღალი მაჩვენებლები (26% -ბიჭებში, 9% -გოგონებში, 18% - ჯამში.)



თამბაქოს მოხმარება საქართველოში ყოველწლიურად 8000-11000 (ზოგადი სიკვდილიანობის 22%) ადამიანს კლავს, და წარმოადგენს გულ-სისხლძარღვთა, კიბოსა და რესპირატორული დაავადებების უმთავრეს მიზეზს.

ძირითადი მიღწევები

2013 წელს, თამბაქოს ეპიდემიით გამოწვეული ჯანმრთელობის გამანადგურებელი შედეგებისა და ეკონომიკური წნეხის საპასუხოდ, საქართველოს მთავრობამ შექმნა თამბაქოს კონტროლის სახელმწიფო კომიტეტი. კომიტეტს ხელმძღვნელობს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. კომიტეტის მიზანია თამბაქოს კონტროლის ახალი პოლიტიკის შემუშავება და ადვოკატირება, ჯანმო-ს თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციისა (FCTC) და ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად. კომიტეტის მუშაობის შედეგად შეიქმნა თამბაქოს კონტროლის ეროვნული სტრატეგია (მთავრობის დადგენილება #196, 2013), 5 წლიანი სამოქმედო გეგმა (მთავრობის დადგენილება #304, 2013); საქართველოს მთავრობის მიერ 2013 წლის მარტში მომზადდა, თუმცა არ დამტკიცებულა შესაბამისი ცვლილებები 5 კანონში.

2013 წელს საქართველოში ჩატარდა WHO FCTC-ის საჭიროებების შეფასების ერთობლივი მისია, რის შედეგადაც დადგინდა რეკომენდაციების ნუსხა. შემდგომ ქვეყნის გადაუდებელი საჭიროებებიდან გამომდინარე განხორციელდა საჭიროებების შეფასების შემდგომი დახმარება.

2017 წლის 30 მაისს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო ცვლილებები თამბაქოს კონტროლის კანონპროექტებში, რასაც ხელი მოაწერა საქართველოს პრეზიდენტმა. ცვლილებები შევიდა შემდეგ კანონებში: „თამბაქოს კონტროლის შესახებ“, „რეკლამის შესახებ“, „ლატარიის, აზარტული და მომგებიანი თამაშების შესახებ“, „მაუწყებლობის შესახებ“ და „ადმინისტრაციულ სამართალდართვევათა შესახებ კოდექსში“.

თამბაქოს კონტროლის რეგულაციების მნიშვნელოვანი საკითხები

- **მოწევის აკრძალვა** (მათ შორის ელექტრონული სიგარეტების და ჩილიმის) ყველა ტიპის საზოგადოებრივ ტრანსპორტსა და შენობაში, გარდა კერძო სახლებისა, ციხეებისა, კაზინოებისა და ტაქსებისა. საგანმანათლებლო, ჯანმრთელობის დაწესებულებებისა და ახალგაზრდული მასობრივი აქტივობების ღია სივრცეებში მოწევის აკრძალვა. დარღვევაა არა მხოლოდ მოწევა, არამედ შენობაში კვამლის, ნამწვის და ჩილიმის არსებობა. **აკრძალულ საზოგადოებრივ ადგილებში მოწევის აკრძალვა ძალაში შედის 2018 წლის 1 მაისიდან**
- **თამბაქოს ყველა ფორმის რეკლამის, პოპულარიზაციისა და სპონსორობის აკრძალვა,** თამბაქოს ნაწარმისა და მისი აქსესუარების განთავსებისა და მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობების აკრძალვა, მათ შორის მათი გამოფენა სავაჭრო დახლებზე და თამბაქოს მოხმარების დემონსტრირება ფილმებსა და მასობრივ წარმოდგენებში. **რეგულაციების ნაწილი ძალაში შედის 2018 წლის 1 მაისიდან**
- სამედიცინო **გაფრთხილების ზომის 65%-მდე გაზრდა** და სავალდებულო პიქტოგრამული გაფრთხილება მოსაწევი თამბაქოს კოლოფის წინა მხარეს
- **სტანდარტული სიგარეტის შეფუთვის (სადა შეფუთვა)** შემოღება. ძალაში შედის **2022 წლის 1 იანვრიდან**
- **ინდუსტრიის პირდაპირი ან არაპირდაპირი მონაწილეობის აკრძალვა** ჯანმრთელობის საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში
- **„დრაივ ტობაკო“-ს აკრძალვა**
- **კანონის ადმინისტრირების განახლებული მოდელი** - პასუხისმგებლობა მოწევის აკრძალვაზე ეკისრება ორგანიზაციებსა და მათ მესაკუთრეებს, დარღვევისთვის გაზრდილი ჯარიმებით, სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი (NCDC) ახორციელებს ჯანმრთელობის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამას, რომლის ძირითად კომპონენტს წარმოადგენს თამბაქოს კონტროლი, მათ შორის მედია კამპანია, მოწევისათვის თავის დანებების ცხელი ხაზის თანამშრომელთა ტრენინგი, საზოგადოებრივ ადგილებში თამბაქოს კონტროლის კანონმდებლობის აღსრულების მონიტორინგი, თამბაქოს მოხმარების შეწყვეტისათვის განკუთვნილი აპლიკაციის შექმნა და სასკოლო-საგანმანათლებლო მასალები. თამბაქოს კონტროლის კომპონენტის ყველა ამოცანის მისაღწევად საჭიროა სახელმწიფო პროგრამის გაფართოება ეროვნული სამოქმედო გეგმის მიხედვით.

WHO FCTC სამდივნოსა და ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო კავშირის (The Union) ხელშეწყობით, საქართველომ მოახდინა პირველადი ჯანდაცვის წარმომადგენელთა ტრენინგის ინიცირება თამბაქოზე თავის დანებების მოკლე კონსულტირებაში WHO

მეთოდოლოგიით. აღნიშნული პროექტი დამატებით იქნა მხარდაჭერილი ჯანმოს ევროპის რეგიონული ოფისის მიერ და ეს ტრენინგები ახლა ქვეყნის მასშტაბით ტარდება. NCDC საქართველოს რესპირაციული ასოციაციის მთავარი პარტნიორია. WHO FCTC-ის მე-14 მუხლის სრულყოფილად იმპლემენტაციისათვის ასოციაცია ახორციელებს პფაიზერის დამოუკიდებელ საგრანტო პროექტს.

The Union-ისა და ბლუმბერგ ფილანტროპის გრანტის მხარდაჭერით აღნიშნული პროექტების ფარგლებში NCDC-მ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით განახორციელა პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა თამბაქოზე გადასახადის გაზრდისათვის მხარდამჭერი გარემოს შექმნას საქართველოში; შეიქმნა სრულყოფილი, ქვეყანაზე მორგებული და მტკიცებულებებზე დაყრდნობით შემუშავებული თამბაქოს საგადასახადო პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც გაეგზავნა ყველა დაინტერესებულ მხარეს აღნიშნულ საკითხზე კონსენსუსისა და პოლიტიკის დოკუმენტის მიღების მიზნით.

პროექტი „საქართველოში თამბაქოზე მოთხოვნის შემცირების მიზნით შემუშავებული საკანონმდებლო ცვლილებების დამტკიცების და აღსრულების მხარდაჭერა WHO FCTC მოთხოვნების შესაბამისად" მიზნად ისახავს ძალისხმევის გაგრძელებას გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან თანამშრომლობის გასაგრძელებლად, რათა მოხდეს WHO FCTC მუხლების იმპლემენტაციის ფასილიტაცია და გაძლიერება.

The Union-ის მხარდაჭერით განხორციელდა პროექტი, „North America „თამბაქოს მსხვერპლთა" მედია კამპანია", რაც გულისხმობდა პირადი ისტორიების (PSAs), გარე პოსტერების დამზადებასა და განთავსებას.



საქართველო სხვა 14 ქვეყანასთან ერთად, შერჩეულ იქნა FCTC 2030 პროექტის პარტნიორ ქვეყანად. აღნიშნული პროექტი WHO FCTC-ის სამდივნოს ახალი ინიციატივაა და გულისხმობს ქვეყნებისათვის პირდაპირი დახმარების გაწევას თამბაქოს კონტროლის ღონისძიებების გააქტიურების კუთხით. საქართველო ევროპის რეგიონიდან ამ პროგრამის მონაწილე ერთადერთი ქვეყანაა. ამ პროგრამაში შერჩევის ერთ-ერთი კრიტერიუმი იყო ქვეყნის მოტივაცია თამბაქოს კონტროლის გაუმჯობესებისა და ამ კუთხით მნიშვნელოვანი მიღწევების დემონსტრირების კუთხით.

გამოწვევები

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობა ძალისხმევას არ იშურებს და ცდილობს თამბაქოს ეპიდემიის წინააღმდეგ ბრძოლას, საქართველოს ზრდასრული მოსახლეობის თითქმის ერთი მესამედი

აქტიური მწეველია, ხოლო თამბაქოს ინდუსტრიის ჩარევა კანონმდებლობის განხორციელების პროცესში კვლავ უდიდეს გამოწვევად რჩება.

აღნიშნული მდგომარეობის გათვალისწინებით მიმდინარეობს თამბაქოს კონტროლის პოლიტიკის სასიცოცხლოდ მნიშნველოვანი მიმართულებების პრიორიტეტულობის განსაზღვრა, რომელთა შორის არის:

- FCTC-ის მე-5 მუხლის ვალდებულებათა განხორციელება
- WHO FCTC-ის დროში გაწერილი მუხლების იმპლემენტაციის გაძლიერება
    - მოწევის სრული აკრძალვა ყველა დახურულ საზოგადოებრივ/სამუშაო ადგილებში და კონკრეტულ ღია სივრცეებში, რომლებიც განკუთვნილია ახალგაზრდებისათვის და მომეტებული საფრთხის ადგილებში
    - თამბაქოს რეკლამის, სპონსორობისა და წახალისების სრული აკრძალვა
    - თამბაქოს კოლოფზე მინიმუმ 65%-იანი ზომის პიქტოგრამული სამედიცინო გაფრთხილება
- თამბაქოს კონტროლის კანონის აღსრულების / ადმინისტრირების გაძლიერება
- თამბაქოს საგადასახადო სისტემის გაძლიერება

თამბაქოს კონტროლის ზემოაღნიშნული ღონისძიებები ხელს შეუწყობს ჯანმოს თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის სრულ იმპლემენტაციას და, შედეგად, ასევე წინ წაწევს თამბაქოს კონტროლთან დაკავშირებულ მდგრადი განვითარების მიზნებს. საქართველოში ამ მიმართულებით არსებობს ისეთი შესაძლებლობები, როგორიც არის მაღალი დონის პოლიტიკური მზაობა, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში თამბაქოს კონტროლთან დაკავშირებით ეროვნული მეკავშირის არსებობა, აქტიური საზოგადოებრივი ორგანიზაციების არსებობა და ძლიერი საკანონმდებლო ღონისძიებები. მიუხედავად ამისა, საქართველოში FCTC-ის განხორციელების საჭიროებების შეფასების შედეგები მიუთითებს იმაზე, რომ თამბაქოს კონტროლის ღონისძიებები საჭიროებს კიდევ უფრო მეტ გაძლიერებას, ხოლო თამბაქოს კონტროლის ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა საჭიროებს განახლებასა და შემდგომ განხორციელებას.